ოქმი:**ო63. 6323093001**
თარიღი:**03/04/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N2

ქ.სამტრედია 29 მარტი. 2023 წელი.

მიმდინარე წლის 29 მარტს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი , ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია,ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე , დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე , გიორგი გაგუა.

მოწვეული სტუმარი : სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, სამტრედიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი - მამუკა კვანტალიანი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ინფორმაცია, ,,აწარმოე საქართველო“_ს პროგრამების შესახებ.

   /მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (20 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (20 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო ინფორმაცია, ,,აწარმოე საქართველო“_ს პროგრამების შესახებ.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ტარიელ დვალიშვილი - ჩვენ ვიცით, რომ მცირე ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით არსებობს სახელმწიფო პროგრამა. ასევე არის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა, არსებობს შეღავათიანი აგროკრედიტები, რომელსაც სახელმწიფო მრავალი წელია ახორციელებს, ვინაიდან ჩვენ ვართ ხალხის მიერ არჩეული და გვაქვს კავშირი ხალხთან, სასურველი და აუცილებელია უფრო მეტ ინფორმაციას ვფლობდეთ ამ სფეროში.

სწორედ ამისთვის მოწვეული გვყავს სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, სამტრედიის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი - მამუკა კვანტალიანი, რომელიც მოგვაწოდებს დეტალურ ინფორმაციას.

ტარიელ ცომაია - პირველ რიგში მინდა ავღნიშნო, რომ ჩემი იდეა იყო ამ საკითხთან დაკავშირებით მოგვეწვია ფრაქციის სხდომა და გვემსჯელა, ვეცნობი სხვადასხვა რეგიონებს და ვფიქრობ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ნაკლებადაა ჩართული ამ მიმართულებით. ვფიქრობ, რომ მოსახლეობა ვერ ფლობს საკმარის ინფორმაციას, არ იციან როგორ შეავსონ განაცხადი.

ამიტომ სოფლის მაჟორიტარები, საკრებულოს წევრები უნდა ჩაერთოს ამ საკითხში და მოხდეს დაინტერესებული პირების დაკვალიანება.

ვალერიანე ფოცხვერია - ჩვენი თხოვნა იქნება ბატონო მამუკა, რომ როცა ჩამოვა პროგრამები კომუნიკაცია იყოს საკრებულოს მაჟორიტარებთან და იყვნენ ინფორმირებული.

გოჩა არველაძე - მე პირადად მომმართა რამდენიმე დაინტერესებულმა პირმა და დავეხმარე განაცხადის შევსებაში.

მამუკა კვანტალიანი - მოგახსენებთ, რომ იმერეთის მასშტაბით სამტრედია არის პირველ-მეორე ადგილზე. ყოველწლიურად გაიცემა 10-15 მილიონიანი აგრო კრედიტი. ძირითადი კომპონენტი აგრო სესხის აღების არის რაღაცის შექმნა.თუ მიზნობრიობა არ დამტკიცდა ლიცენზირებული აუდიტის დასკვნით, 6 თვის შემდეგ სახელმწიფო პროცენტს უკან ამოიღებს.

ვაჟა სტურუა - თუ შეიძლება მოგვაწოდეთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, რომელიც ეხება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

მამუკა კვანტალიანი - ამ ეტაპზე მოქმედებს შეღავათიანი აგროკრედიტი. ასევე მოგახსენებთ, რომ შევქმენით 36 კოოპერატივი, საიდანაც 3 დარჩა მოქმედი.

2016 წელს დაიწყო პროგრამა ,,აწარმოე საქართველო“, რა დროსაც დაფინანსდა და გაიმარჯვა სამტრედიაში 56 ადამიანმა.

ტარიელ დვალიშვილი - მადლობა მინდა გითხრათ შეკრებისთვის, ბატონ მამუკას მადლობა ამომწურავი პასუხებისთვის და მომავალში იმედია ვითანამშრომლებთ და ინფორმირებული ვიქნებით სხვადასხვა პროგრამების შესახებ.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა (19 ხმით) ზემოაღნიშნული მიიღეს ინფორმაციის სახით.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/